ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13220566**
თარიღი:**25/02/2022**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის'' (ს/კ 424254210) წესდების დამტკიცების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის (ს/კ 424254210) წესდების დამტკიცება წარმოდგენილი დანართი 1-ის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა), მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სახელოვნებო
საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა"

წესდება

ქალაქი ახალციხე 2022 წელი

მუხლი 1. იურიდიული პირის სტატუსი და ადგილსამყოფელი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა'' (შემდგომში იურიდიული პირი) დაფუძნებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ. მის: ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. N18.

2. ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას'' აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შტამპი, მრგვალი ბეჭედი, სახაზინო და საბანკო ანგარიშები, იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. იურიდიული პირის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოში მოქმედი კანონები და წინამდებარე წესდება.

4. იურიდიული პირი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ, ან მოპასუხედ.

5 კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში სკოლა ანაგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.

მუხლი 2. ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას'' მიზნები და ამოცანები

1. იურიდიული პირის მიზნები და ამოცანებია:

ა) მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი 6 წლიანი სამუსიკო განათლება, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგთა მეშვეობით;

ბ) სამუსიკო სკოლამ განახორციელოს დაწყებითი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამა;

გ) საფუძველი ჩაუყაროს მოსწავლის აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას;

დ) სკოლამ ხელი შეუწყოს ეროვნული კულტურის წარმოჩენას როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის საზღვრებს გარეთ და დაამყაროს კონტაქტები შესაბამის დაწესებულებებთან;

ე) სამუსიკო სკოლამ შესაბამისი პირობების შექმნით ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, კულტურული მემკვიდეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას;

ვ) მოამზადოს მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად შესაბამის სახელოვნებო პროფესიული და აკადემიური განათლების მიზნით;

ზ) სამუსიკო სკოლის დამთავრებისას გაიცემა ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის'' მიერ გაცემული შესაბამისი საფეხურის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) დაწყებითი სწავლების საფუძველზე (სწავლების ხანგრძლივობა 6 წელი);

ზ.ა) აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს,

ზ.ბ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნულ- კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების კლასიკური ნიმუშები,

ზ.გ) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიური გემოვნების ჩამოყალიბებაზე,

ზ.დ) მოამზადოს აქტიური მსმენელი და საბაზო- საორიენტაციო საფეხურზე სწავლის გამგრძელებელი სათანადო კონტიგენტი,

ზ.ე) გამოუმუშაოს მოსწავლეებს სამყაროს მხატრული აღქმისა და საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ ჩვევები, ინდივიდუალური და ჯგუფური პრაქტიკული აქტივობებით,

მუხლი 3. იურიდიული პირის სტრუქტურა და მართვა

1.იურიდიული პირი შედგება თვითმმართველი ერთეულის - ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული და მოქმედი სამუსიკო სკოლებისაგან:

ა) „სკოლის გარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - აწყურის სამუსიკო სკოლა";

ბ)„სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ვალის სამუსიკო სკოლა";

გ) ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება – ქალაქ ახალციხის სამუსიკო სკოლა".

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამუსიკო სკოლების მართვაზე უფლებამოსილება იურიდიული პირს გადაცემული აქვს დამფუძნებლის მხრიდან.

3. იურიდიულ პირს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

4. იურიდიული პირის დირექტორი:

ა) საქმეს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს იურიდიული პირის საქმიანობის სწორად წარმართვაზე;

ბ) ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს იურიდიული პირის სტრუქტურას, საშტატო განრიგს, ხელფასის ფონდს და ხარჯთაღრიცხვას შესათანხმებლად;

გ) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს სამსახურის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს, ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა იურიდიული პირის სარგებლობაში არსებულ ქონებაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე;

დ) კანონით დადგენილი წესით ხსნის ანგარიშებს და ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ შესაბამის გადარიცხვას;

ე) წარმართავს შრომით ურთიერთობებს, დებს შრომით ხელშეკრულებებს, ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თანამშრომლებს, განსაზღვრავს მასწავლებელთა დატვირთვისა და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას საშტატო განრიგისა ტარიფიკაციის მიხედვით, იცავს თანამშრომელთა უფლებებს, კანონის ფარგლებში დასაქმებულთა მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს, გამორჩეულ მუშაკებს წარადგენს ჯილდოზე;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

ზ) ახორციელებს იურიდიული პირის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელ კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;

თ) იხილავს სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის, სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანისათვის და სასწავლო შემოქმედებითი პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს;

ი) იურიდიული პირის წინაშე მდგარი საკითხების გადასაწყვეტად ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს, კომისიებს;

კ) არეგულირებს მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხებს;

ლ) შეიმუშავებს და ამტკიცებს იურიდიული პირის შინაგანაწესს;

ნ) სკოლის დირექტორს უფლება აქვს ჰქონდეს პედაგოგიური დატვირთვა.

6. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მოადგილე, რომელსაც მოვალეობის შესრულებას აკისრებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 4. ,,სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის" უფლება-მოვალეობანი

1. იურიდიული პირი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი სანიტარული ნორმების დაცვაზე, წყალმომარაგების, ელექტრომომარაგებისა და საკომუნიკაციო სისტემების გამართულ მუშაობაზე,

ბ) უზრუნველყოს ახალი სასწავლო წლისათვის და ზამთრის სეზონისთვის შესაბამის სამუშაოთა მომზადების ორგანიზება და კოორდინაცია,

გ) მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები,

დ) მოამზადოს და ჩაატაროს იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები,
ე) მოამზადოს და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს წინადადებები სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.
2. იურიდიული პირი ვალდებულია:
ა) წარმართოს საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
ბ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები;
გ) დაიცვას იურიდიული პირის გაერთიანებაში არსებულ სამუსიკო სკოლებში დადგენილი ნორმები ყველა სფეროში;
დ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დანერგოს მუშაობის ახალი ფორმები;
ე) ითანამშრომლოს სხვა სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
ვ) მონაწილეობა მიიღოს ღონიძიებებში, შეხვედრებში, პრეზენტაციებში, კონკურსებში და ფესტივალებში

მუხლი 5. სკოლაში მოსწავლეთა მიღება და სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების შინაარსი და ხანგრძლიობა საწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი საფეხურის სახელოვნებო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმისა და სასწავლო პროგრამების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს იურიდიული პირის დირექტორი.
2. სკოლაში მუსიკალური მონაცემების მქონე მოზარდები მიიღებიან შესარჩევი კონკურსის წესით.

3. მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
4. დასაშვებია სხვა სკოლიდან გადმოყვანილი მოსწავლის ჩარიცხვა შესაბამისი კლასის გათვალისწინებით.
5. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კონკურსის შემთხვევაში კი მისაღები კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე
6. სკოლას, დამფუძნებელთან შეთანხმებით უფლება აქვს გახსნას ფასიანი სწავლების ჯგუფები, ნებისმიერი ასაკის მსურველთათვის სწავლების შესაბამისი პროგრამით.

მუხლი 6. იურიდიული პირის ქონება

იურიდიული პირის ბალანსზე არსებული ქონება, სხვა ქონებასთან ერთად, გამოიყენება მხოლოდ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 7. იურიდიული პირის ფინანსური სახსრები.

იურიდიული პირის ფინანსური სახსრებია:
ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ სამსახურის დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.
ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 8. იურიდიული პირის საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარშგება

იურიდიული პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დაგენილ ვადაში წარუდგინოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 9. იურიდიული პირის კონტროლი

1. იურიდიული პირის საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და

საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. იურიდიული პირის კონტროლის ახორციელებს ახალციხის მუნიციპაიტეტის მერი, რომელიც უფლებამოსილია პერიოდულად მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციისა და მასალების წარმოდგენა.
3. კანონმდებლობით დადგენილი წესით, კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გაერთიანების არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 10. იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.
3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულად ერთეულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორებიდა დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.დარჩენილი ქონების განაწილება მოხდება კანონით დადგენილი წესით.
7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები), ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები.
1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა, გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.